22 ოქტომბერი, № 29-30 ფასი 15 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიაბი

მივლინებული (კოლმეურნეს):—ამიხსენით, გამაგებინეთ... ვიცი, რომ მატყლს ცხვარი გვაძლევს, ხოლო ამ ოხერ ბამბას რა ცხოველი იძლევა, ეს ალარ ვიცი!

ძაღლის ხორცი

Самый Французский, Необыкновенный Мужчина 37.

Примадонна

Сумрачные Звезды или Обновление

მაქსიმე ოხრაძე, ანუ მაქსიმ პეტროვიჩ, როგორც მას უწოდებენ თანამშრომლები, ბლამი თვალებით უყურებს საბჭოთა სოციალისტურ აღმშენებლობას. მას არაფერი მოსწონს ჩვენი და ყველაფერს, რაც ჩვენს დროში კეთდება, „ურწმუნო თომას“ საზომით უდგება.

— რაღა ცხოვრებაა ეს ცხოვრება? გაგიგონიათ ბატონებო, ყველაფერზე რიგი? „უკვდავების წყაროც“ რომ იყოს, არ მინდა, თუ შეაწუხდები. აი გიდი, რა დრო იყო წინად?

გულში თუ რამეს გავიგლეჯდი, ხელათ ავისრულებდი; ამბობდა ის თავისთვის, რომელიც წინად მემამულე და შეძლებული კაცი იყო.

— ბიძია მაქსიმე, წარმოიდგინეთ, რომ მე ყველაფერის შემძლე ვარ. ესე იგი, თქვათ, ღმერთი ვარ, შენ ხომ ღმერთი გწამს? შეგეწიოს მისი ძალი. ჰო და, მე მინდა გკითხოთ, რას ინატრებდი ბიძია მაქსიმი, რომ შემესრულებია თქვენთვის? შეეკითხა მას კომკავშირელი გოგი, მისი ძმის წული, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ, მასთან იზრდებოდა.

მაქსიმ პეტროვიჩ ასეთ უცნაურ შეკითხვას არ მოელოდა პატარა გოგისაგან, გაკვირვებით შეხედა მას და თან ულვაშებში გაიღიმა.

— ჰმ, ბარემ ბეცრს ვიხატრებდი ჩემო გოგი, მაგრამ რაღაა ისეთი ნატვრა, რაც არ შესრულდება!—ამოოხვრით ჩაილაპარაკა მაქსიმ პეტროვიჩმა.

— ბიძა ჩემო, მე არ მეხუმრება, მითხარი რაღა, ვინ იცის, იჯერ მართლა შეგისრულო!—

მაქსიმ პეტროვიჩმა გოგის მხარზე ხელი დაადგა და შეკითხვაზე ასეთი პასუხი მისცა:

— ჩემი ნატვრა იქნებოდა, რომ მხრები გამოძბმოდა და დღესვე ჩემს საყვარელ ბერლინში გადავფრენილიყავი. ვაბ, რა დრო ძიტარებია სტუდენტობის დროს ბერლინის კაფე-შანტანებში...

ეხ, ტკბილო მოგონებავ! სადღაა წარსული?

აი ჩემი ნატვრა! ფრთები, ფრთები, ფრთები!..

მაქსიმ პეტროვიჩმა კიდევ ამოიოხრა და გოგის მოშორდა.

— ბიძია ჩემო, კი, მაგრამ, იქაც ხომ არ არის ძველი დრო? არ იცი, რომ იქაც ძალე იფეთქებს რევოლიუცია?

მაღალი ხმით ბიძაძხა გოგიმ აივანზე მიმავალ მაქსიმ პეტროვიჩს!

— სტყუით თქვენ!

მოესმა აივნიდან მისი ხმა.

განა ეს ტანჯვა არ არის? დღეს ქროზის ხორცი დაგვირიგეს. მისი ძაღლებისათვის ბანანაწილებელ დუქანშიც კი ნახევარი საათი ფეხზე ვიდექი,—ამბობდა მაქსიმ პეტროვიჩი ბავისთვის.

— ბიძა ჩემო, მე შემიძლია ნატვრა შეგისრულო და ბერლინში გადაგაფრინო. აი, ჩქარა საავიაციო სკოლას დავასრულებ, ჩაგაყენებ ჰაეროპლანში და ბერლინში ამოგაყოფიერ თავს, მხოლოდ ერთი პირობით. ოღონდ გაგამო ის ხორცი, რომელიც ბერლინში იყიდება... თანახმა ხარ, ბიძა ჩემო? მომეცი ხელი! და მას გოგიმ ხელი გაუწოდა.

— გოგი, თავი დამანებე, აბა, რას ხუმრობ? ბერლინში უვარგის ხორცს გაყიდიან, განა?

მაქსიმ პეტროვიჩმა გოგის ზურგი შეაქცია.

—ბიძა ჩემო, კიდევ გთხოვთ ხელი მომცეთ, რომ თანახმა იქნები სჭამო ის ხორცი, რომელიც ბერლინში იყიდება,—დაჟინებით ამბობდა გოგი, რომელსაც მარჯვენა ხელში გერმანული გაზეთი ეჭირა.

— აჰა, ოღონდ მომშორდი!

მაქსიმ პეტროვიჩის და გოგის ხელები ერთმანეთს შეხვდნენ.

— მაშ, ეხლა მისმინე ბიძა ჩემო.

— ხომ გაგიგონია თქმულება: ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო“.

გერმანიაში კი ამ თქმულებას გასავალი არ აქვს. იქა ყავთ ორფეხიანი ჯიშის ძაღლები, რომლებიც იჭერენ ოთხფეხიან ძაღლებს და კლავენ. მოკლულ ძაღლების ხორცს კი გერმანიის მთავრობა ხალხს აჭმევს. თუ ჩემი არ გჯერა, წაიკითხე ეს.

გოგიმ მას გერმანული გაზეთი გადასცა, რომლის უკანა გვერდზე ეს განცხადება იყო მოთავსებული:

„პარასკევობით და კვირაობით იყიდება პირველი ხარისხის ძაღლის ხორცი“.

მაქსიმ პეტროვიჩს „ენა“ მოუცილში ჩაუვარდა.

ᲫᲘᲨᲕᲐᲠᲓᲘ.

ᲐᲛᲝᲪᲜᲐ

ქალაქ თბილისში არსებობს ერთი დაწესებულება ა.-კ. ფარგლით, რომელიც შესდგება შემდეგი განყოფილებისაგან,—რუსული გამოთქმით:

1) ახო, 2) ოის, 3) პეო, 4) სპრტ, 5) სპრზ, 6) ფს, 7) სკ, 8) გკს, 9) მტ-ტ-სხ, 10) ეტ. 1) სუო, 12 სპი, 13) სპეცს 14) ბრ; 15) სვკ.

ამ დაწესებულების ზემოჩამოთვლილი განყოფილებები და შტატი დამტკიცებულია ა.-კ. მუშგლეხინის მიერ.

ამავე მუშგლეხინის მიერ წინადადება აქვს მიცემული დაწესებულებას კაგათ იმუშაოს, მაგრამ ის მაინც სხვა სახელწოდებით.

ვინც ყველაზე უწინ გამოიცნობს ამ დაწესებულებას, ის მიიღებს საჩუქრად „ნიანგს“ 1932 წელში.

Ა.

*) ᲐᲡᲝᲗᲐᲛᲬᲧᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: ასეთი დაწესებულება არსებობს აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლითაც ,მხოლოდ სხვა სახელწოდებით.

ᲛᲖᲐᲓᲓᲔᲑᲐ

ᲓᲐ 7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲒᲐᲛᲝᲢᲕᲐ

ᲥᲣᲠᲜ. „ᲜᲘᲐᲜᲒᲘ“-Ს

ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ

მარტო ადმინისტრატიული ზომები და მგზავრების დაჯარიმება ტრამვაის მოძრაობის საქმეს ვერ შველის. უმთავრესია რონოდების გამრავლება და ავტოტრანსპორტის დაჩქარებით გამოყენება... (მუშკორის შენიშვნიდან).

ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ: გასწი, გაფრინდი ქვითარო, გადაგვატარე ქუჩები
რომ დირექციას—შენს მომგონს ამოუკოცნო ტუჩები.
მიღწევა რამ ხარ ტეხნიკის; ვინმე გედრება განაო?
„ნიანგის“ კუდმა აკურთხოს „ტრანსპორტი“ შენისთანაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიანგი თბილისში

ჭიაურის მეღორეობის საბჭოთა მამულიდან, როგორი ტემპით გამოვემართეთ თბილისისაკენ, — ამის ვრცლად აღწერას არ შეუდგები. ოღონ არ იყოს მიძნელდება კიდევაც იმის გამხელა, რომ ჭიაურიდანაც კი გაგვიტაცა წინანდალის მამულის მიმზიდველობამ, რომელსაც ხელმეორეთ ვეწვიეთ, — თითქოს გზათ შერებით!..

ეს ხომ იმას ჰგავს, — ერთ კაცს რომ ჰკითხეს: „ყური საით გაბია“, მან კი მარჯვენა ხელით მარცხენა ყურზე მიუთითა: „აი, აგერო“! (თით ქოს მარჯვენა ხელთან მარჯვენა ყური უფრო ახლოს არ იყო!).

ტყიან ადგილებში როცა გვიხდებოდა გავლა, თანამგზავრები ამოაძვრენდენ ჯიბიდან „ნაგანს“, ან „ბრაუნინგს“ და მარდათ ატრიალებდენ ხელში.

ერთ მოსახვევში ორი ცხენოსანი შეგვეჩეხა წინ. რევოლვერები უცბად სადღაც გაჰქრენ და თანამგზავრებს ნაცრის ფერი ჩაედვათ. (არც მე ვიყავი, ალბათ, ვარდის ფერზე).

კიდევ კარგი, რომ ეს ცხენოსნები აღმოჩნდენ წიწიბოსა და სხმარტლის დასამზადებელ კამპანიის ჩასატარებლათ მივლინებულები!

— : —

ჩვენი შოფერი თუ კი სადმე თვალს მოჰკრავდა შარაგზიდან გადასახვევს, უსათუოდ გამოიყენებდა მას ტემპის გასაღვივებლად. არა ერთხელ გამიელვა თავში აზრმა: რაღა საჭიროა გზათა სამართველოს არსებობა, თუ მის შეკეთებულ (და არა გაკეთებულ!) გზებზე სიარულს — გვერდის შევლა სჯობია?

მიუხედავათ ამისა მშვიდობიანათ შემოვედით ქალაქის ფარგლებში, სადაც კიდევ მეტი ნაჯღრევა განვიცადეთ ოღრო - ჩოღრო ქვაფენილზე.

მიდინარე კაბალში ნაბანევმა და შემდეგ მტვერით შეფიფქულმა მანქანამ უსიამოვნო ღმუილით შევიდა ნავთლუღის სადგურის აჭეთ სტაბილიზაციაქმნილ ტალახში, რომელმაც ორი მთავრობა მოინელა, მესამესგან კი თითონ ელის მონელებას, მაგრამ რომელ ხუთწლედში — ეს არ იცის დარწმუნებით, თორემ თითონ ამოშრებოდა კომუნალურ განყოფილების ჯინაზე!..

— : —

მიუხედავარ იმისა, რომ ჩვენ ჭალაჭ გარეთ ვიყავით მზოლოთ ერთი ხუთდღიური, — დიდი ცვლილებები დაგვხვდა უკან დაბრუნებისას.

თბილისის საბჭოს ტყუპათ ოთხი ვაჟები შესძენოდა! მაგრამ რაღაა ასეთ შეძენას! ბინების მეტის - მეტი სივიწროვის გამო თბილისში ოთხივე პაკანების მდგომარეობაში იმყოფებოდენ. ასეთი მდგომერობიდან მათი გამოსვლა კი სხვებს უქადოდა პაკანების მდგომარეობაზე გადასვლას!

— : —

ამ გაცხარებულ კოლექტივიზაციის და გაერთიანების დროს, რომ მთლიანი მუშათა კოოპერაცია დანაწილების გზას დასდგომია — ეს იწვევს გაუგებრობას. არ იფიქროთ საქონლის დანაწილების, არამედ თვით დაწესებულების, სხვადასხვა დარგებათ, — თორემ საქონლის დანაწილების სისტემაში რაიმე ცვლილების შეტანა ჯერ - ჯერობით შეუძლებელია: ნოჭრები და თვისიანები ძველებურათ, მათებურათ განაგრძობენ დანაწილებას!

გამონაკლისს შეადგენს „საჭილ ბოსტნის“ წერტი № 53 რომელშიდაც რამდენიმე დღის განმავლობაში ხელუხლებლათ აწყვია რამდენიმე ყუთი მკვახე ვაშლები. სამი ნოჭრები სდარაჯობენ ამ ყუთებს მყიდველების მოლოდინში, მაგრამ ამაოდ: რომც არ სდარაჯობდენ, მაინც არავინ ახლებს ხელს, რადგან მშიერი ბოკიც კი იუკადრისებს მის ჭამას!

— : —

პუშკინის ბაღი იყო გაჭედილ ტრამვაის ვაგონიდან გამოსულ სულ შეხუთულ მგზავრის დასასვენებელი ადგილი. ტრამვაელ ვიღაცა თავხედს აუღია და თვით ამ ბაღისთვისაც შეუხუთავს სული!

თავისუფლების მოედნის ვითომ განტვირთვის საბაბით ყველა მახლობელი ქუჩები ისე გადაუტვირთავს ჩახლართული ხაზებით, რომ მგზავრებმა აღარ იციან რომელ ვაგონს სად და როდიმ ის უცადონ! რაც აქ შრომა და თანხა არის დახარჯული, —ის რომ დაზიანებული ვაგონების შეკეთებას მოხმარებოდა, მაშინ თავისთავად განიტვირთებოდენ მოედანიც და ვაგონებიც, სულიც არავის შეეხეუთებოდა და ბაღიც ბაღს ემსგავსებოდა.

მაგრამ ამის მომქმედს, ალბად, თავის ქალა აქვს ძალზე განტვირთული და არ სურს მისი დატვირთვა აზრიან საქმიანობით!

რაღაი შევდექით ტრამვაის ლიანდაგზე, — ბარემ გავიცვალოთ ცოტა წინ თავისუფლების მოედნიდან, იქვე მახლობლათ, კომინტერნის ქუჩაზე. აი, სად არის გაქანებული ტეუპით მუშაობა! ამ წლის განმავლობაში, ვგონებ მეცხრეჯერ არის ქუჩა და ხაზი აყრილი და დაგებული! ეხლა მეათეჯერ აკეთებენ, მარა არა აჩქარებული ტემპით, — ეტყობა საფუძვლიანათ, ამ წელში ალბათ მეთერთმეტე - ჯერ გადაკეთება აღარ დასჭირდება ამ ხაზს!

— : —

დროინი მეფობენ და არა მეფენიო, —ამბობენ ძველი შვენი დროის ფილოსოფოსები.

ეხლა ხომ ტემპის დრო მეფობს და ამიტომ ნურავის გაუკვირდება, თუ იოსელიანი ისეთი ჩქარი ტემპით გამოიცვალა, რომ გუშინდელი ნაცნობები დღეს მას ველარ სცნობენ.

ამბობენ, რომ კარგი ბიჭი იყო იოსელიანი, — თუმცა წინააღმდეგსაც ამტკიცებენ, — მაგრამ მოევლინა აი, 21 სპბინამხის გამგის თანამდებობაზე, — ერთი, ორი და სადღაა ჩვენი ძველი იოსელიანი!

ხარი ხართან დაიბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო, — იტყვიან.

იოსელიანი თუმცა არ ყოფილა მიბმული სახლის პატრონებზე, მაგრამ ყოფილ სახლის პატრონებთან კი უხდებოდა შეხვედრა ხანდახან. ძიუხედავათ იმისა, რომ მას იმავე დროს გარს ეხვევენ ნამდვილი წითელი ფერის და რევოლიუციონური ზნის მუშები, ამ ოჯახქორმა მაინც გახუნებულ ყოფილ სახლის მეპატრონეების ზნე და ფერი შეითვისა.

გადავიყვანოთ ისევ ყოფილ სპბინამხის გამგის მდგომარეობაში, — იქნებ დაუბრუნდეს წინანდელი ზნე და ფერი!..

ს. თ—ია.

ნახ. ჭოქაიშვილის

— დამაწინაურეს... კოოპერატივიდან ქარხანაში გადამიყვანეს დირექტორათ!

—მერმე ეს გიხარია! კოოპერატივს რა სჯობია ეხლა?

ცდა გიტლერისა გერმანიაში. თუ არ გაზირდა „ქვალი“ ფიალი

მე გერმანიის ვითარების
ვარღვევ რა მურგსა,
თვალთ ვერ ვაშორებ მეტის ნდომით
ქალაქ ზალცბურგსა.
იქ გუგენბერგი და გიტლერი
თვალწინ მიდგება,
თუ „მუზარადის ფოლადისა“
საერთო კრება...
(იღებს იგი ხელთ უფლებას
თუ რა იქნება?!.)
ვხედავ რა დიდი ენამჭევრიც
არის ეს შახტი!
(„შახტის“ ხსენებამ მეც შემაკრთო:
ერთ ადლზე შავხტი!)
დასცხო და დასცხო ბრიუნინგის
მთავრობას ლახტი!..
მან ჰინდენბურგიც ამ საქმეში
წაძოიშველა.
შახტი, ჰიტლერი, გუგენბერგი...
აქ არის ყველა!
(მომწონს ეს ნაყარ-ნუყარი და
წარსულის ძველა!)
ეს გერმანული ფაშიზმია,
რომ სდგება ყალყსა,
და ახალ ბორკილთ, ახალ უღელთ
უმზადებს ხალხსა!
ის ამ სურვილში, ანუ უკეთ—
მისწრაფებაში
არის თავხედი, უმწეოთ არ
იფხანს კეფაში!
გაბედულია, ვით ფაშიზმი
საერთოდ არის,
მათთანვე არის გენერლობა
თუ სხვა წრეც ჯარის.
მათი მთავარი არგუმენტიც
იარაღია!
ცხოვრება ესე ხომ გაშლილი
იალაღია!
აქ თუ არ მოსძოვ, სხვა მოსძოვს და
შენ კი დარჩები,
სხვა შემოგიბღვერს, დაგაშინებს,
დაგიფრთხობს ჯოჯოს
და ბოლოს იქნებ—ეს ვინ იცის—
კიდეც გაჯობოს,
და მოგახვიოს თავს თავისი
ხელისუფლება!
მაშ, აქ ვინც დრკება, ის ხომ ისევ
თავს ემუხთლება!
შენც შეუტიე, რას უყურებ,
რას ელოდები?
აიღე ხელში უფლებანი,
შიშით ნუ სდნები!
რას ერიდები პატივ-ახდილ
ვიღაც ბრიუნინგს?
ხელი მოავლე საიმედოთ
შენსავ რაუნინგს!
სადაც ვერ გასჭრის სხვა ზომები,
იქ გასჭრის ტყვია!
სატაცურია ეს ქვეყანა,
არ შეგიტყვია?
და თუ არ გინდა სხვისი ხელით
გასატაცურდეს,
გადაყირავდეს კომუნიზმში
და გადაცურდეს,
თავს მოახვიე ფაშისტური
ხელისუფლება,
და ხედნე, სანამ ისტორიის
გზიდან ფურცლებმა!..
მე მესმის გიტლერ-გუგენბერგის
და შახტის კვნესა!
ნაგრამ მათივე საგულისხმოდ
წინ მითქვამს ესა:
სულ ერთი არის: რაც უნდა ჰქნან,
ბოლო ერთია,
და ეს ბოლოც ხომ—
გერმანიის საბჭოეთია!..

ჰაზირა.

შუადღემდი მეგრელი, ნაშუადღევს იმერელი

(სილაგაძის დაკითხვიდან)

— თქვენი გვარი და სახელი?

— სილაგაძე დავითი ალექსანდრეს-ძე.

— რატომ ზოგიერთ დოკუმენტებში სილაგავა გიწერიათ?

— სილაგავაც არის ჩემი გვარი, მაგრამ ჩვენს სოფელში შუადღემდი მეგრელს გვეძახიან, ნაშუადღევს კი —იმერელს. ამიტომ მაქვს ორი გვარი: —სილაგავა-სილაგაძე. ე. ი. შუადღემდი მეგრელი, ნაშუადღევს კი— იმერელი.

— მამა თქვენი ვაჭარი ხომ არ ყოფილა?

— კი გახლდათ, მაგრამ დროზე აუღო ალღო, რომ ჩვენი მთავრობის დროს ვაჭრებს და სოფლის წურბლებს გასაქანი არ ექნებოდა, და ამიტომ ადრე მიანება თავი ვაჭრობას.

— შე კაი კაცო, ანკეტაში რატომ სწერ — ღარიბი მიწის მუშის შვილი ვარო?

— ეს ადვილი გასაგებია: ჯერ ერთი ვაჭრის შვილი რომ დამეწერა, მაშინ უნივერსიტეტში როგორ ამოვყოფდი თავს. პარტიაშიც ვერ შევძრობოდი და ჩემს ძმას და ბიძაშვილსაც არ მიიღებდენ უნივერსიტეტში.

— შენ სილაგაძე ხარ, შენი ძმა და ბიძაშვილი კი — სილაგავა. რად დაგჭირდათ ეს?

— ესეც ადვილი გასაგებია. მე უნივერსიტეტში თვალსაჩინო როლს ვთამაშობდი სტიპენდიის განაწილების დროს და უხერხულად ვსცანი, რომ სილაგავას ხელი მოეწერა თავისი ძმის და დის სტიპენდიის დანიშვნაზე. ამიტომ ჩემი გვარი გადავაკეთე — სილაგაძეთ.

— კი მაგრამ, შენ რისთვის ღებულობდი ორ ალაგას სტიპენდიას?

—მე მაკვირვებს თქვენი შეკითხვა, ნუ თუ თქვენ არ გაგიგონიათ, რომ „გლახა ცხოვრებას კარგი ცხოვრება სჯობია. მეც ხომ არ მაწყენდა კარგი ცხოვრება!

— ის როგორ იყო, სასოფლო სამეურნეო გადასახადის ციფრი რომ გადაასწორეთ?

— რომ არ გადამესწორებია, ისე ვინ გამანთავისუფლებდა სწავლის ფულიდან.

— ის როგორ მოხდა, რომ ოცდა ჩვიდმეტ საგნიდან ჩააბარე მარტო თორმეტი საგანი და ხელად გადახტი მეორე კურსზე.

— იმე! (ამ შეკითხვაში კი იმერელი ვარ). გადახტომაში „პიატი“ მაქვს, მეორე კურსზე კი არა, ბოშო, შეიძლებოდა მეოთხე კურსზედაც გადახტომა, მარა არ მინდოდა.

— მეორე კურსზე რომ იყავი, როგორ მოეწყვე მარქსიზმ-ლენინიზმის ასპირანტათ?

— განა ცოტა ხდება ჩვენს უნივერსიტეტში ასეთები, რომ ჩემი გიკვირთ?

— შე კაი კაცო, რათ გინდა მარტო ასპირანტის სახელი, თუ არაფერი გეყრება გოგრაში?

— ბევრი ასე კვაჭობით ღებულობს ასპირანტობას, და რა დიდი ცოდვა იქნებოდა, რომ მეც იმათ რიცხვში ვყოფილიყავი.

— ამას წინად გაზეთებში წავიკითხე, რომ დავით სილაგაძე-სილაგავა გამოირიცხა პარტიიდან და მოიხსნა ასპირანტობიდან, ვინ არის ის, სხვა დავით ალექსანდრეს-ძე, თუ — თქვენ?

(დავით სილაგაძე-სილაგავა **თავს** ხრის).

სმელი.

ცვალებადობამ მომინელა

ღილკილოების ფაბრიკამ პირველი კვარტალის გეგმა მხოლოდ 80 პროც. შეასრულა.

— ვიცოდი ასე რომ მოხდებოდა, —ხელის ჩაქნევით სთქვა ფაბრიკის დირექტორის მოადგილემ, ღილკილოს ხელოვანმა, რომელსაც ეამსა მას ნიკოლოზისასა საკუთარი სახელოსნო ქონდა მოწყობილი.—ვაჟო, ამ ჩვენს დირექტორს ახლა მოუნდა ინჟენერობის შესწავლა, ჩამიტოვა ხელში ეს წარმოება და მარტო მე რას გავწვდები!

დირექტორის მოადგილე — ღილკილოების ხელოვანი გაფაციცებით ეძებდა გარღვევის მიზეზებს.

— რა უნდა იყოს ისეთი მიზეზი? მართალია სოცშეჯიბრება და დამკვრელობა არ გაგვიშლია, მაგრამ სამაგიეროთ გამოსასვლელ დღეებში ხომ ვამუშავეთ მუშები? ისიც კია, რომ ჭამა-სმა კარგად ვერ მოვაწყვეთ, მაგრამ სახლში ხომ ჭამს ეს ხალხი?

ამ სჯა-ბაასში მეორე კვარტალიც გავიდა და ბუჰხალტერმა აღმოაჩინა, რომ გეგმა აქ უკვე 60 პროცენტით შესრულდა.

— გარღვევის ნიმუშებია!—სთქვა ბუჰხალტერმა.

— მეც მგონია, რომ გარღვევასთან გვაქვს საქმე,—დაუმატა მოანგარიშემ.

— აშკარა გარღვევას აქვს ადგილი,—დაუმატა ღილკილოების ხელოვანმა და ღრმააზროვნად აღნიშნა, რომ გარღვევის მიზეზები ობიექტიურ პირობებში უნდა ვეძიოთ.

— ობიექტიური მიზეზები არ იყოს,—მე ვიცი რასაც ვიქმოდი, მაგრამ სად წაუხვალ ობიექტიურ პირობებს,—აწუწუნდა ღილკილოს ოსტატი და სავარძელში ჩაიკეცა.

მესამე კვარტალის შედეგებს რომ აჯამებდა, ბუჰხალტერმა კვლავ შუბლზე იტკიცა ხელი:

— ბიჭოს, კიდევ გარღვევა არ გვქონებია!—აღშფოთებით წამოიძახა მან,—გეგმა 55 პროცენტითაა შესრულებული!

— რა უნდა იყოს მიზეზი, გარდა იმ წყეული ობიექტიური პირობებისა, —კვლავ აწუწუნდა ღილკილოს ჯადოსანი.

— აბა ერთი, საწარმოო თათბირზე გეძახიან — შემოვიდა კაბინეტში კომკავშირელი.

საწარმოო თათბირზე, რომელსაც მუშების მთელი შემადგენლობა დაესწრო, დირექტორის მოადგილე ისევ ობიექტიურ პირობებს ამოეფარა.

— მუშა-ხელის ცვალებადობამ მომინელა,—დაიწყო მან.

— კი მაგრამ რა ზომები მიიღეთ მაგის წინააღმდეგ?

— რა უნდა მივიღო, ხალხი მიდის, ჩოხის კალთაში ხომ არ დავაფრინდები!

— კვება რატომ არ მოაწესრიგეთ?

— ბიჭოს, მზარეულმა ხეირიანი ჭერძის დამზადება არ იცის, მე რა შუაში ვარ!

— დამკვრელები რატომ არ დააჯილდოვეთ?

— შე კაცო, დამკვრელს რაღა დაჯილდოება უნდა!

— სატარიფო სისტემა რატომ არ გადაახალისეთ?

— რა უნდა გადავახალისო, ტარიფთან რა საქმე მაქვს!

— სამეურნეო ანგარიშზე რატომ არ გადახველით?

— გადავიდოდი, მაგრამ ობიექტიურმა მიზეზებმა ხელი შემიშალა...

— სტალინის სიტყვა შეისწავლეთ?

— კაცო, რაღა დროს ჩემი სწავლაა, კაცი ვხუცდები. ისე წაკითხვით კი წავიკითხე...

საერთო კრების დადგენილებით, მოადგილე მოიხსნა და საერთოდ სამკუთხედიც გადახალისდა, რადგანაც ექვსი მითითებიდან ღილკილოებს თურმე არც ერთი არ გაუტარებიათ.

ალლარ-ალლარსან.

ნახ. დონის

— როგორ პურის წიგნაკივით იცვლება ეს ამინდი. გუშინ ცხელოდა დღეს კი ზამთარივით მაკანკალებს!...

„ედუკიას გაფორმება“

ცაგერის შემნახველ სალაროს გამგე ეპიფანე გოლეთიანი ღმა ფიქრებში იყო გართული, იჯდა თავის კაბინეთში და ხარჯთაღრიცხვას ათვალიერებდა, როცა ჩაბარეს სასწრაფო დეპეშა:

წინადადება გეძლევათ, რომ სასწრაფოდ გაშალოთ თესვის კამპანია და მიიღოთ თქვენგან დამოკიდებული ყველა ზომები“.

გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა. რა დროს თესვის კამპანია იყო, როცა უკვე მომწიფებული ყანების მკასაც კი არ შესდგომოდენ კოლმეურნეები. ან რა შუაში იყო შემნახველ სალაროს გამგე. სად შემნახველი სალაროდ, სად თესვის კამპანია. მართალია ხელის შეწყობა სავალდებულოა, მაგრამ უშუალოდ კამპანიის სათავეში ჩადგომა, რა მისი საქმე იყო.

ჰო და მიუხედავად ამისა, რაკი ბრძანება ფიცხელი იყო და გამომდინარეობდა ცენტრიდან, ზემდგომ ორგანოებიდან, ეპიფანემ მიატოვა შემნახველი სალარო და გადაეშვა კისრამდე გლეხთა მასებში თესვის კამპანიის გასაჩაღებლად.

რამდენიმე საჯარო კრების ჩატარების, და ცეცხლოვან „რეჩის“ წარმოთქმის შემდეგ თესვის კამპანიის საბოლოოდ, გამოირკვა, რომ ეს იყო ცაგერის ფოსტის ბრალი. ეპიფანეს ავალებდენ არა თესვის, არამედ სესხის კამპანიის ჩატარებას.

შეცდომა მყისვე გამოსწორებულ იქნა, თუმცა უქმად ჩაიარა ეპიფანეს ცეცხლოვანმა მჭუხარე სიტყვებმა თესვის სასარგებლოდ, მაგრამ არა უშავს, შემდეგისათვის იხელმძღვანელონ მით გლეხებმა.

ეპიფანე გოლეთიანი დაუბუნდა ისევ შემნახველ სალაროს კაბინეტს. გადის რამდენიმე დღე და ეპიფანე ღებულობს ცენტრიდან მეორე დეპეშას.

„წინადადება გეძლევათ დაუყოვნებლივ შეუდგეთ და დააჩქარეთ ლორების მობილიზაცია. მესამე ვვარტალის გეგმის შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებელი თქვენ იქნებით“.

ბევრი იფიქრა, ბევრი იჯავრა ეპიფანემ. მოიწვია თანამშრომელთა სასწრაფო თათბირი, რომელმაც ბევრი თავი იმტვრია ამ საკითხზე, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გამონახა გზა და ხიდი ლორებთან დასაკავშირებლად.

ბოლოს გადაწყდა შეკითხვის გაგზავნა ცენტრში და ინსტრუქციების გამოთხოვნა, მაგრამ გამოირკვა რომ ყველაფერი ეს შედეგი იყო ისევ ფოსტის დაზღვევრობის, განსაკუთრებით ფოსტის გამგე **ჩარგოლიანის** უყურადღებობის.

თურმე ნუ იტყვით, ლაპარაკი იყო თანხებზე და არა ლორებზე, თანხების მობილიზაციაზე და არა ლორების, მაგრამ ჩორგოლიანი თურმე იმ ხანებში ლორების შესყიდვაზე ფიქრობდა ფოსტის ფულებით და ამიტომ ჩაუსვამს დეპეშაში ლორები თანხების მაგიერ.

ამ გაჭირვებიდანაც გამოვიდა გოლეთიანი, მაგრამ მალე ისევ გადაუჭრელი პრობლემის წინაშე დადგა იგი.

ისევ მოდის დეპეშა ცენტრიდან:

გიგზავნით ინსტრუქციებს: ედუკია თავს გრძნობს. გაფორმება დააჩქარეთ... სამი დღეა გელი გეგმების შესრულებაზე. ავად ვიყავი. მოვდივარ“.

ეპიფანემ რამდენიმეჯერ გადაიკითხა დეპეშა; ერთი მაგრად ამოირხრა და მიეცა ფიქრებს.

— კარგი, ინსტრუქციები მესმის, მაგრამ რა ვუყო ედუკიას! ვინ არის, ან როგორ უნდა გავაფორმო? რა გეგმებია? ვინ მელის, ვინ იყო ავად?

და დღესაც ფიქრობს ეპიფანე ედუკიას გაფორმებაზე. ასეთ დღეში იქნება იგი, სანამ ფოსტიდ გამგეთ ჩარგოლიანი იქნება ცაგერში.

სეგეირ-ბან-შმიხ.

ავტორიტეტი

თომა კუჭას ვინ არ იცნობს,
ვინ არ იცნობს კუჭა თომას,
სავარძელში რომ ზის მუდამ,
არ კადრულობს ფეხზე დგომას.
და თუ ადგა, —
(ვსთქვათ საქმე აქვს
სადმე, საბირფარეშოში...) —
ხელში პორტფელს დაიკავებს, —
ასეთი აქვს ადათ-ხოში.
— უპორტფელოთ სიარული —
ამბობს პორტფელს როს ხელს კიდებს, —
მოქალაქის ღირსებას სცემს,
ჰკარგავს იმის ავტორიტეტს!
მნახველები თუ მივიდენ,
ვაი მათი ცოდო-ბრალი:
კაბინეტში ჩაკეტილა,
ვით ზღაპრული კამარ-ქალი.
თუმცა ტრესტის ახლოს სცხოვრობს,
ახლოსა აქვს თუმცა ტრესტი,
მას იმ ტრესტში სიარულით
არ უცვდება წუოა-მესტი, —
სულ ავტოთი დაბრძანდება.
თომა კუჭას ასე ესმის:
დირექტორის ფეხით წასვლა,
დამცირება არის ტრესტის.
და ცდილობს „არ დაამცირონ“,
იცის კუჭამ თავის ფასი.
მაგრამ როცა გაზეთს ხედავს,
ახჩობს ბოღმა, ახრჩობს ბრაზი
ში კითხულობს: მას ლანძღავენ
თომა კუჭას ასე ესმის:
ლანძღვა ტრესტის დირექტორის
დამცირება არის ტრესტის.
სიცხე თავში უვარდება,
შუბლზე სოველ კომპრესს იდებს,
და თან ყვირის: მუშკორები
სპობენ ტრესტის აიტორიტეტს.
ასე ყვირის კაბინეტში
და თან ბრაზით თვალიბს ხუჭავს,
მუშკორებო, დაცხით მაგრათ,
შეუტიეთ თომა კუჭას.

სიპიტი.



ნახ. დონის.

ბამბის კრეფა რომ ვიწყეთ,
ბულაკს აუტყდა ქექა:
„რას მვრეგით თქვე სამიწეგ!“
გამხმარ ტოტიდან „სპექა“

ავტო ქარხნისკენ მიდის,
ისევ აყვირდა მიხა:
„რას ვხედავ, ჰაი გიდი,
ბამბაგ, შენ საით მიხვალ?!“

ბამბა დაზგაში მიდის,
მანქანამ შექნა როკვა,
და მიხო... ჰაი გიდი:
უცებ შიგ პრესში მოყვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცვრებული სვაქო

(ნამდვილი ამბავი)

დათვის ბუნაგივით არეულია სტაქოს ბინა.

ყოველ კუთხეში ობობას ქსელია.

— ბიჭო, ეს ობობას ქსელები მაინც ჩამოსწმინდე, შე ბინძურო შენა! —ხშირად მითქვამს მისთვის.

— რათ უნდა ჩამოწმენდა! ასე სჯობია; ბუზები შიგ ებმიან და ობობა ანადგურებს მათ. ვერ ხედავ რამდენი ბუზია დახოცილი?

მართლაც, ქსელში უამრავი დახოცილი ბუზი იყო.

და ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა თორმეტ საათზე სტაქო მოულოდნელად სახლში დაბრუნდა და შეუდგა ბინის დალაგებადასუფთავებას.

— რაშია საქმე?

— ალბად ცოლს თუ ირთავს!

— არ მოკვდეს!—უკვირდათ მეზობლებს.

— საქმე იმაშია, რომ დღეს ჩემთან ერთი ქალი მოვა, ძალიან მომწონს, დიდი ხანი ვსდევ, მაგრამ არ იქნა. სახლში დავპატიჟე, როგორც კარგი ნაცნობი. დამეთანხმა. დღეს მოვა, აუცილებლად მოვა. კაი სუფრა უნდა გავუწყო... თუ ძმა ხარ, შენც მომეხმარე, მაგრამ მეზობლებში არა ფერი წამოგცდეს!—მითხრა სტაქომ,

ოთახი დაასუფთავა, იატაკი მოსწმინდა.

— ხედავ რა მშვენიერი ყოფილა ეს რჯულძალლი ჩემი ოთახი?—უხაროდა სტაქოს, როცა სუფთა ოთახში სუფრას აწყობდა.

სუფრა კი, მართლაც, დიდებულად იყო გაწყობილი: ხვანჭკარა, კონიაკი, ყურძენი, ატამი, წიწილები, მწვადები და, ერთი სიტყვით, ყველაფერი საუკეთესო საჭმელ-სასმელი.

— სამსახური მივატოვე, ადრე წამოვედი ნახევარი თვის ჯამაგირსაც წირვა გამოუყვანე, მარა მიზანს მაინც მივაღწიე. ეს სასმელები კიდევ უფრო გაამძაფრებს გრძნობებს.. მოვა... მარტოდ ჩვენ ორი დავრჩებით ამ ოთახში... ო, რა ბედნიერებაა... მოდი, მოდი, მალე მოდი!—ფიქრობდა სტაქო, ნერვიულობდა და ფანტაზიაში სხვადასხვა სურათებს ხატავდა.

უცბად კარზე კაკუნი გაისმა.

სტაქო ისე შეხტა, თითქოს ელექტრო-ტოკმა დაჰკრა თავში. მთელ ტანში ვნების კოცონი დაენთო და კარები გაიღო.

— გეგონაო მოგატყუებდით? ხომ მოვედი?—ალერსიანად უთხრა ქალმა, რომელსაც სტაქომ კარებში ეამბორა ხელზე.

— გაიცანით, ეს ჩემი ქმარია და ესეც ჩემი ქალიშვილი,—უთხრა ქალმა სტაქოს, რომელიც კიდევ ვერ აშორებდა ტუჩებს ქალის ხელებს.

მეორეჯერ დაჰკრა კიდევ თავში ელექტრო-ტოკმა. მაგრამ ეხლა რაღაც ცივმა, ტლანქმა და უსიამოვნომ

სტაქომ აიხედა და მის წინ იდგა— შუა ხნის კაცი და თორმეტი წლის ქალიშვილი.

სტაქოს სიცხე უცბად დაუვარდა. სტუმრები სუფრას შემოუსხდენ.

ლაზათიანად გამოძღენ და ერთი საათის საუბრის შემდეგ, წავიდენ.

როცა სტაქოსთან შეეფდა, იგი გაშეშებული იჯდა მაგიდასთან.

— რა მოგივიდა, კაცო?

— ასეთი უსინდისობა გაგონილა? ქმარშვილით მისტუმრა. ბარემ ბებიაც წამოეყვანა. ამდენი ხარჯი გამირონია. ოთახის დალაგებას გადავყევი და, რაფერ გამაბითურა კაცი. მოდი და ამის შემდეგ ენდევი კაცმა ქალს?

ზმუკი.

ანდერძი

ნახ. დონის.



მომაკვდავი მწერალი: — ჩემს საყვარელ შვილიშვილის შვილიშვილებს ვუტოვებ ჩემს ჰონორარს: თუთხმეტ მანათს, თუთხმეტ შაურს და ორ კაპიკს, რომელიც მე უნდა ამ დღ სახელგამიდან ჩემი სიკვდილის დროს...

— რატომ შვილიშვილის შვილებს, და არა შვილებს?!..

— სულ ერთია, ისინი მაინც ვერ მოესწრებიან სახელგამიდან ამ თანხის განაღდებას...

ევროპიული სანახაობანი სხვადასხვა სურათებად

ვასკა-ფისო და მზარეულები

ვასკა-ფისო (იაპონია) შეცუნცულდა სამზარეულოში (მანჯურიაში) და შესკუპდა მაგიდაზე (მუკდენში). ბლუდზე დახვდა მცვრიანი სუკი (სამხ. მანჯურიის რკინის გზა) დაადო თითი და დაუწყო ჯიჯგნა (ქალაქების დაპყრობა). დაინახა ეს მზარეულმა (იმპერიალისტებმა) და დაუწყო ჭკუის სწავლება:

— ვასკა! ნუ თუ შენ მართლა გინდა მაგ სუკის შეჭმა? (და ჩვენ კი არ გვიტოვებ?) მერე ეგ რა საკადრისია? დაანებე თავი ფისო. (ჩვენ გვინდა შესაჭმელად!) წესი და სამართლიანობა მოითხოვს, რომ თუ საჭმელია, ჯერ უფროსს დაეკითხო და თუ (მას რამე გადარჩა) ნებას მოგცემს, მაშინ შენი წილი (ჩინეთიდან) მიირთვი! ვასკა, სინიდისი ხონ გაგიგონია?.. ვასკა-ფისო კი უსმენს და სჭამს (იპყრობს და სჯიჯგნის ჩინეთს!) მაგრამ მალე ენახავთ, რომ ფისოს ყელზე ძვალი დასდგომოდეს!

იაპონური ხურმა

იაპონიის დიპლომატია თვალთმაქცურად „არწმუნებს“ ევროპის სახელმწიფოებს, რომ იგი ჩინეთში არ აწარმოებს ომს.

ბ-ბა-ახ!.. იგრიალა ყუმბარამ მანჯურიაში.

— ვ-ვა-ახ!.. დაიკვნესა გულდაფლეთილმა მუშამ!

— ვ-ა-ა-ი-ი-.. მას ბანი მისცა სისხლში მოსვრილმა გლეხმა...

ქუჩებში სისხლის ღვარი წავიდა, ტრუბლებში ცეცხლის კვამლი და ალი აიწოწა!

— ასე. ასე კარგია, მშვენიერია,—ჩაილაპარაკა გენერალმა მაკაკამ.

— თქვენ თავს ესხმით, თქვენ იპყრობთ, თქვენ ყუმბარებს უშენთ—სხაპა-სხუპით მიაყარეს მას საპროტესტო საყვედურები „სამართლიანობის დამცველმა“ ცივილიზებულმა ჯენტლმენებმა, ამერიკიდან, ინგლისიდან, საფრანგეთიდან, ეენევიდან!

— ჩვენ?—საკვირველია, ჯენტლმენებო, ნუ თუ ასე გვიცნობთ? საიდან, როდის, ვის ვიპყრობთ? თუ თქვენი ყურადღება მიიპყრო ქუჩაში რაღაცა საგნების ჩამოვარდნამ, ეს ყუმბარები კი არ არის, არამედ, ხუმრობით გადმოყრილი ხურმაა, იაპონური ხურმა...

— მართლა?

აჰაა, მართლაც ხურმაა, დიახ, მშვენიერია, ჩინებულია!..

თავაზიანად დაეთანხმენ ჯენტლმენები!..

კაჭკაჭი და ყვავი



კაჭკაჭმა უთხრა ყვავსაო,
ჩავარდი გულისხმასაო
იაპონია სისხლს რო ღვრის
ხელს ნუ შეუშლი მასაო, —
არ ვარგა საშოვარშია
ძმა თუ არ არგებს მასაო,
დაიპყრას დავინაწილოთ,
ზოგი ჩვენ ზოგიც მასაო.



— ჩვენ, არშაკ მისაიჩ გალუსტოვი, პრემიერი თელავისა და მისი რაიონისა, დირექტორი ადგილობრივ სტამბისა, მეტრანპაჟი და რედაქტორი რაიონულ გაზეთისა, გამგე სკოლისა, პ.-მგ. მიმაგრებული სამანქანო სადგურისა, გამგებელი და ხელმძღვანელი კლუბისა, წევრი ათას ნაირ გამგეობებისა და პრეზიდიუმებისა და სხვათა და სხვათა...

ჯიბგირი და შუამავალი

„ინგლისის მუშათა კლასმა ზურგი აქცია მოღალატე მაკდონალდს და მას კრებებზე სტვენითა და ობსტრუქციებით უმასპინძლდებიან“.

გაზეთებიდან.

ჯიბგირს ხელი სტაცეს და მოუნდომეს გალახვა.

— რას შვრებით? — ჩაერია საქმეში შუამავალი და ჯიბგირს წინ აეფარა. — განა თქვენ ფიქრობთ, რომ ამაზე პატიოსანი ადამიანი კიდევ მოიძებნება? მაინც და მაინც ჯიბიდან ფულის ამოცლა ამ პატიოსანს ანგარებით კი არ მოსდის, მას ერის ინტერესი ამოქმედებს...

— ეგრე, ეგრე სერ რამზეი, გადამარჩინე და ჩემს ნასუფრალს არ მოგაკლებ! —

— სტყუის, ეგეც ჯიბგირის ამხანაგია დასცხეთ ორივეს! — გაისმა ყოველმხრიდან.

და... რაც მაკდონალდს მოხვდა — ჩემბერლენმა დათვალოს!..

აურ-ზაური „კეთილშობილ ოჯახში“

გერმანიის საიმპერიო ბანკის ყოფილმა თავმჯდომარემ შახტმა ამხილა ბრიუნინგის მთავრობა, რომ გერმანიის ფინანსები აგებულია თაღლითობაზე და სიყალბეზე“.

დეპეშებიდან.



შესეთ, შახტი დარჩა სახტად.
ტრიბუნაზე ახტა, დახტა
და იძახის: — ჩვენს ფინანსებს
თაღლითობა სულ ეთია,
ბრიუნინგი კარტებს აწყობს
„ულიკი“ და შულერია!..
— მოდი და ნუ დაუჯერებთ —
თვით ამ შულერს კეთილშობილს:
როცა ხედავ „ჩაწყობილ“ კარტს
მის ხელშივე გამორჭობილს!

თარსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცალი თვალით

ნახ. დონის.

როგორ უყურებს ზოგი კას.-მგ. მუშაკი სოფელსა და ქალაქს (სურათი გადაკეცეთ შუაზე ნაჩვენებ ხაზით).

ნიანგიპროს ეფრინავი ბრიგადა სუ. ინსტიტუტი

ბრიგადა ოთ ეფრინავი იყო, ამან ძლიერ შეუწყო ხელი ჩვენს მუშაობას, რადგან ინსტიტუტის წინ მეორე წელია ხიდს აკეთებს აღმასკომის კომუნალური განყოფილება და ჯერაც ვერ მოთავდა. ამიტომ თუ კაცმა კარგი ფრენა არ იცი, ისე ჩაიჩხეები ხრამში, რომ ნიანგიც ვერ შესძლებს გვამის პოვნას.

ეს კიდევ არაფერი. ფრენამ შიგ ინსტიტუტში შეგვიწყო ხელი: საპირფარეშო წყალით ავსებულიყო და დერეფნებში ისეთი ტბა და სუნი იდგა, რომ ძლივს შევსძელით გადაფრენა და მიფრენა ერთ-ერთ კაბინეტის კარებთან. ყველა კარებზე დგანან „კარის კაცები". ვინ განახვევს დირექტორებს, განსაკუთრებით საქმეთა-მმართველს.

პირველად კანცელარიას მივმართეთ მიღებულთა და აღდგენილთა საქმეების გადათვალიერების მიზნით. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. „კარის კაცი" (ქალია) გვეუბნება:

— აქ შესვლა აკრძალულია, „ედინე ნაჩალიაა" და დელექტორმა ბრძანა კანცელარიაში მე და ჩემი საქმეთა მმართველის გარდა სხვა არავინ დავინახოო!

მაგრამ ჩვენ გადავფრინდით ფანჯრებიდან და დავათვალიერეთ დოკუმენტები, სადაც შემდეგი აღმოჩნდა:

ინსტიტუტში ჩარიცხულია ყოველგვარი მოვლენების გარეშე 35 სტუდენტი. ინსტიტუტის კანცელარიის 5 თანამშრომელი ჩარიცხულია სტუდენტებით. მათ მოუყვანიათ თავიანთი დები იმავე თანამდებობაზე, რათა მომავალში ისინიც ჩაირიცხონ ამავე ინსტიტუტში, რადგან მათ არავინ მოსთხოვს, არც შრომის სტაჟს და არც სოც მდგომარეობის ბარათებს... (სახოკია, გორდელაძე, და სხვები). ინსტიტუტში ჩარიცხულთა სიაში აღმოჩნდენ შვიდწლედ დამთავრებულნი, რომელთაც უმაღლესში შესვლის უფლება არა აქვთ. წლოვანებას ნუ იკითხავთ. აქ არის 15, 16 წ. და უფრო მცირე წლოვანიც.

ამის შემდეგ ჩვენ დავათვალიერეთ ბიბლიოთეკა. დავათვალიერეთ და რა ვნახეთ. აქ თავმოყრილი ყოფილა დამით მოქეიფე თავადების თაიგულები.

ბრიგადამ პირველად შეიარა ლენინიზმის კაბინეტში, სადაც კაბინეტის გამგე ქეთოს გაეშვირა ხელები და ეკატერინე მანიკურს უკეთებდა.

შემდეგ შევიარეთ საბჭოთა მეურნეობის თეორიის კაბინეტში, სადაც ქეთო (ეს მეორე ქეთოა) მოლა მასტ-

რადინას ზღაპარს უამბობდა ნინოს. ჩვენ ძლიერ დავინტერესდით ტყუილა მყოფ ბიბლიოთეკარების დაბაზვის შემდეგ და შეუდექით მათი მუშაობის გამოკვლევას. აღმოჩნდა შემდეგი: 65 პროც. სახელმძღვანელო წიგნებისა დაკარგულია. აღნიშნულის შესახებ აქა-იქ ნახავთ სტუდენტების მოწმობებს. სხვა არაფერი სჩანს.

შემდეგ, როცა ხელმეორეთ შევიარეთ ინსტიტუტში, ასეთ სურათს წავაწყდით საპროფკომოში: დამჯდარიყვნენ ეკატერინე, ქეთო, ნინო, ქეთო მეორე და აწყობდენ გეგმას იმის შესახებ, თუ როგორ დაელწიათ თავი ამდენი წიგნების დაკარგვის პასუხისმგებლობისაგან.

— ჩვენ, — ამბობდა ერთი, მგონი ეკატერინე, — აუცილებლად უნდა დაუახლოვდეთ ინსტიტუტის პირველ დირექტორს, თორემ სხვა გამოსავალი არ არის, მაგრამ მაგ ოხერი ისეთი უკარებაა, რომ მგონი ქალების თვალით დანახვა ეზარება. 30 მანეთი დამიჯდა ოპერის აბონემენტი, მაგის აბონემენტის გვერდით არის. ამას წინედ მოვუჯექი გვერდზე, მაგრამ მან შუაში ძმა ჩააჯინა და ერთიც არ მომიხედა.

—სად არის ის გასულ წელში რომ იყო! ერთს, რომ შეუმღერებდი, საკითხი გათავებული იყო! — ჩაილაპარაკა გულმოკლულად პირველმა ქეთომ.

— ჩვენ უნდა წავიდეთ, თორემ მაგ ხიერს არ დაგვაყრის, ხან ვუცინი, ხან თვალს ვუქნევ, მაგრამ სრულებითაც ყურადღებას არ გვაქცევს! — ნაღვლიანად სთქვა მეორე ქეთომ.

— ცოლიანი ხომ არ არის? — იკითხა ნინომ.

— უცოლოა, მაგრამ რად გინდა! გაცინებულს ვერ ნახავ, სულ გაბრაზებულივით არის.

უკანასკნელად საქმეთა - მმართველის კაბინეტში შევედით ზოგიერთი ამბის გასაგებად, მაგრამ რადგან ასათიანი ქალს კოცნიდა ხელზე და არ სცალოდა, ჩვენც აღარ შეუშალეთ ხალი და წამოვედით ფრენით ნიანგთან ამ ამბის მოსასმენლად.

მუ რია

გორის რამე-რუმე

ქალ. საბჭო

გორში ქუჩას — რუსთაველის
დიდი წუმპე ახჩობს,
რატომ ყურებს არ ობერტყავ,
ამხანაგო საბჭო?

ფუნი

ბური ცხვება უვარგისი
ყურს არ უგდებს არავინ,
ხშირად მასში ურევია
ბზე და მუხის ყავარი.

ფოსტა

ფოსტაში ზის ზაზიევი,
ფვალებს აბრიალებს,
საქმეებზე მოსულ გლეხებს
უტევს, ულრიალებს.

სადგური

რიგი არა სწამს მოლარეს,
რიგი საერთოდ ცნობილი,
ფარულად აძლევს ბილეთებს
ვინც. რომ შეხვდება ძმობილი.

ბოლო სიტყვა

ჯერ ეს კმარა, ჯერ ეს იყოს
შემდეგ სხვებსაც გიამბობ,
ვინც კი ღირსი იყოს, დასცხე,
ამხანაგო „ნიანგო".

არიო.

ახალგაზრდა მხატვრები

ნახ. რაზმაძის, სტალინისი.



— ვაახ! რა ადრე გარდაიცვალა იაგეურა!

— რის ადრე?! ადრე კი არა, დიდხანს გასძლო ამათ ხელში!

ნახ. ალ. ხადურის, გორი

— ფეხსაცმელის ერთი ორდერი მაინც მომეცით.

— შენ კი არა, რაც ფეხსაცმელები მიიღეს, ნოქრებსა და მათ ნათესავებს არ ეყოფათ.

ნახ. ისაკოვის (ველისციხე)

— კაცო, ორსულად ხომ არა ხარ?

— არა, ჩვენს სასადილოში ვისადილე!

ერთი დღე ქოგულეთში

დღეს პირველად ვინახულე
მე ქალაქი ქობულეთი;
ოზურგეთის მატარებლით
ადრე იყო რომ მივედი.
წამსვე ზღვისკენ გავეშურე,
საუცხოვო იდგა დარი;
ზღვას ნელი-ნელ ატოკებდა
ვრილი სიო ნაზ-ნარნარი.
აპირს გაწოლილი იყო
ტიტველ ქალთა მთელი ჯარი,
ზოგსა ქონდა თმთა გიშერი
ა ეკიდა ყელზე ჯვარი,
ზოგიც იყო ტანად სარო
და მაღალი ვით კენარი.
ცურაობდენ, კისკისობდენ
უდარდელნი, მზით დამწვარნი.
ტანი ვეღარ დავიბანე
რადგან შემრცხვა მეტად მათი,
(თუმცა იმათ არ რცხვენოდათ
ხილვა გატიტვლებულ კაცის.)
ასე უქმად ჩამიარა
ქობულეთის ზღვისა ნახვა,
ტანი ვეღად დავიბანე,
მათ სირცხვილმა სულ მთლად დაწვა!

საუზმისთვის გავეშურე,
აღარ დავიზარე გარჯა;
მითხრეს: აგერ მოსახვევში
აკონდიტრო არის „გლარჯა“,
შევედი, სალაროს იჯდა
კაცი ვინმე, გავდა ჯაჯას.
ჩაის ჩეკი როს მივმართე,
შემომხედა, დაიღლარჯა.
აბუზღუნდა—არ მაქვს ხურდა,
მოგროვდება, დაიცადე,
მეც ბრძანებას დავმორჩილდი
ალაროსთან იქვე დავდეგ;
როგორც იქნა მოისურვა,
გადმომიგდო ჩაის ჩეკი,
იმავ წუთში გაიშორი
[illegible] მაგიდას მიუჯექი.
ველოდები.... გადის ხანი.
ვიღაც ყვირის: „გაწყდით ბარემ“.
შემდეგ მომიტანეს ჩაი
გაგშინჯე და იყო მწარე.
—კაცო, ჩაი მწარე არის,
ეს რასა გავს, რაებს სჩადი?
—თავს ნუ იკლიბ,—მიპასუხა,—
დალიე ან გარედ გადი!
ერთმა მითხრა ამ დროს ჩუმად:
—დაანებე კაცო თავი,
მაგას რა მოეთხოვება
ბრიყვია ეს საცოდავი.
აქ საერთოდ ასე არის
მას სჩადიან, რაც რომ უნდათ;
იპარავენ შაქარს, ბულკებს
და მალავენ ფულებს ხურდას!
სადილობამ მოაწია
მოიტანა ნდომა ჭამის.
—მოდი ბარემ ვისადილებ—
გავიფიქრე გულში წამით,—
თორემ ისე მშიერი ვარ
რომ წავიქცე კაცი ლამის;
სადილს მაინც კარგს ვიშოვი
იმედი მაქვს დიდი ამის.
და იმ წუთში გავეშურე
მივკითხე სასადილოს,
რაც სურათი მე იქ ვნახე
სანიანგო ის საკბილო—
ამას შემდეგ მოგახსენებ
მე ნიანგო მთელ სისრულით,
რომ აღკვეთო იქ შექმნილი
სისაძაგლე არ ნახული!
საერთოდ კი ქობულეთში
გამითენდა ცუდი ღამე;
კაცმა ჩაი ვერ ვიშოვე
და სადილიც ვეღარ ვჭამე,
თან ქალების სირცხვილით ხომ
ტანიც ვეღად დავიბანე!

შ[illegible]ი-შური.

ნახ. ი. კუპრაშვილის, ქუთაისი

— ფეხით რომ მიდიხარ, დეპეშა გაგეგზავნა!

— დაგვიანდება, საჩქარო საქმეა!

ოზურგეთის სახანძრო რაზმი

ნახ. ქიქოძის, ტფილისი

— ეხა, თავი გაანებე რეკას, ხარი გატყდება, ხომ ხედავ—სახლი უკვე დაიწვა.

„რუსთაველი“ ზუგდიდიდან

ამ ამბავთა კრებულით.
სამეგრელოს ვეზები.
თუმც საქმეა ქეჩული,
მაგრამ არ ვიკვეხები.
ზუგდიდიდან ჩვენს სოფლებს
მოეფინა მზეწვია;
მხარზე მამის ხურჯინით
დიდის ამბით ეწვია.
(გლეხებს მისთვის მრავალჯერ
დინგი ჩაულეწია).
აღვრეევინეს პირიდან
პოეტობის ნერწყვია.
პოეტი არ გეგონოთ
პოეტების ბეწვია).
თუ არ იცნობთ, გაგაცნობთ

სალომეშვილს ვლადიმერს;
მწერლობაში მამაცობს,
ჰყვარობს ლხინს და ნადიმებს.
გულს თუ მოინადირებს
მეტი რა დარჩენია?
ეჭი თვალებს გადირევს,
(გადარევაც სჩვევია)
სოფელ - სოფელ დაძვრება,
იცის გამამაცება.

თუმცა მუდამ მარცხდება.
ჯერაც კიდევ არ სცხრება,
თვეში სულ ოცდაათჯერ
საღამოებს გამართავს.
(ბოლოს ნასაღამოებს
პაემანობს თამართან).

გგიჟის როლში გამოდის,
მუშტმოღერით დიდგულობს;
თავდაყირად სცენაზე
თავის ლექსებს კითხულობს.
ამ ცხოვრების სუსხშია,
დადის გულგაფატრული.
და გლეხებში სულ ხშირად
ბილეთს ჰყიდის ნატურით:;

კვერცხი, ჩირა, ჩურჩხელა,
პოეზია მხატვრული, —
შეეხორცენ ერთმანეთს,
გაჩნდა ოთხი სართული,
რა სჯობია თუ ეგრე
ტემპებში ხარ გართული?

ხურჯინს ავსებს ნადავლით,
ჭპანს ძლივსღა ერევა;
ერთი თვალის გადავლით
კაცი გადაირევა.
შევა სასადილოში,
ისადილებს, გაძღება,
ფულის გასწორებისას,
უკნიდანვე გაძვრება...
ეპოქალურ ბურჯვინით
მიჭრის თავის ხურჯინით...
ესტუმრება სხვა სოფელს.
იქაც გრძნობებს აკოფებს.
ჭკადუაშის გლეხებმა
ერთხელ როზგიც მიართვეს.
ვერაფერმა შებღალა
ვლადიმერის სიაფთრე.
გამსახლიდან გამოდის
(დასწვა ცოდვის კამოდი).
რაიონის ნებართვით
კვლავ ხელობას ანახლებს,
და პოეტურ პორტრეტებს,
გულის ტურფებს ანახვებს.
ის რუსთაველს აძაგებს,
თავს პუშკინად ასაღებს,
ერთის მოსმით იუფლებს
პოეზიის გასაღებს.
აცხობს ცხელ-ცხელ აფიშებს,
ქუჩა-ქუჩა ასრულებს
სცენებს ათასნაირებს...
დასდევს ღამის ავსულებს
მღერის ძველძველ შაირებს
სადაც დაუღამდება
დაეგდება ლეშივით,—
რომ პოეტად გაიცნონ
ვალო სალომეშვილი
(და ეს უკანსკნელი
მისი ფსევდონიმია;
დაგმო გვარი—სახელი,
დასთამაშებს ღიმია).
სენაკში და ზუგდიდში
ის მოალხენს ბარიშნებს.

და მეც მისთვის ვანიშნე
ნიანგს ესე საკბილო,
რომ მან ასეთ ლრუტუნებს
დასცხოს მზნედ და აკივლოს.

კრიტიკოსი ბედისა.

რ უ ს უ ლ ი ი უ მ ო რ ი

მშობლების დირექტივა

ევგენი ყველაზე შეძლებული კულაკია.

შეკრიბა მან თავისი შვილები და უთხრა:

— შვილებო ჩემო, საღვთო წიგნში სწერია: **„პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, რათა კეთილი გეყოს შენ და დღეგრძელ იყო ქვეყანასა ზედა“.** თქვენ კი რას შვრებით?

— რას! რას? — გაკვირვებით შეეკითხენ შვილები მამას.

— აი საქმეც ეს არის, რომ გიკვირთ და ვერ იცით არაფერი.

— როგორ თუ არ ვიცით! — დაიწყო უფროსმა, — განა ჩვენ არ ვიყავით,რომ კოლექტივის ყანას ღორები შევუსიეთ და გავანადგურეთ? განა ჩვენ არ დავწვით კოლექტივის ბეღლის მასალები? განა ჩვენ არ...

— განა ჩვენ არ... — ვეღარ მოითმინა საშუალომ, — ვიყავით, რომ პური გადავმალეთ ორმოებში. განა ჩვენ არ ვიყავით, რომ...

— რომ... ჩაერია უმცროსი ვაჟი,— ჩენ დირექტივებს ანტისაბჭოთა აგიტაციის შესახებ სოფლად ვავრცელებდით და ათსგვარ ჭორებს ვსდებდით სოფელს, რომ...

— კარგი, კმარა. — შეაწყვეტინა სიტყვა მამამ. — ეს ყველაფერი მეც ვიცი, ყოჩაღად იყავით ყველაფერში ჭკუა გამოიჩინეთ და გონება, მაგრამ ეხლა ეს აღარ კმარა. ეხლა სხვა პირობებია, სულ სხვა მოგომარეობა. ეს კიდევ არაფერი, რომ მე კოლექტივში არ მღებულობენ. მაგრამ თქვენ რას გერჩიან?

— მამა კულაკი გყავსო... თქვენ მასთან ცხოვრობთო!

— ჰო და, საქმეც ეს არის, ძაღლის თავიც აქ მარხია.

— მაშ რა უნდა ვქნათ? — შეეკითხენ შვილები.

— უნდა უარგვყოთ მშობლები.

— აკი შენ გვითხარი, რომ საღვთო წიგნში წერია: **პატივი ეც მამასა შენსა და...**

— ჰოდა, — გააწყვეტინა სიტყვა შვილს, — პატივი უნდა სცით კიდეც. ხოლო პატივისცემა ეხლა იმაში გამოიხატება, რომ უნდა უარგვყოთ, რათა თქვენ მოაწყოთ კოლექტივებში, სამსახურში, უმაღლეს სასწავლებლებში და ამით საშუალება გექნეთ საღვთო წიგნების დაბალების შესრულებისა: **„პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“.**

რამოდენიმე დროის შემდეგ სამივე ძმა გაზეთში აცხადებდა:

„ამიერიდან ჩვენ აღარავითარი კავშირი აღარ გვაქვს ჩვენს მშობლებთან, ვსწყვეტთ მათთან ყოველგვარ დამოკიდებულებას, ვემიჯნებით, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტებს და ვიცავთ ვალს... გთხოვთ მიმიღოთ სამსახურში... კოლექტივში... უმაღლეს სასწავლებელში“.

ევგენის ოინმა გასჭრა.

(გადმოკეთებულია „ლაპოტი“-დან)

— მამაო ,ფული მაკრინემ შესწირა ეკლესიას, რომ...

— აცხონოს ღმერთმა!

— ... რომ ის ფული სკოლას შევსწიროთ და...

— დაწყევლოს ღმერთმა!



ბოლშევიკი: — **არ დაანებოთ ბიუროკრატებს ძუძუს ,ოწოვა; ისინი ისედაც ბევრია, რა საჭიროა მათი ჯიშის გამრავლება!**

ცოცხალი კავშირი



— ძია, თქვენს რაიონზე მიმამაგრეს სამ უშაოთ და მითხარი კიდევწესი ღიდი ღ—



— სკოლაში ღვინო რატომ გამოუფეროთ?

— ეგებ აღმასკომის თავმჯდომარემ პირი ჰქნას სკოლისკენ!

ნიანგის საკბილო

აქ ბევრია დასაფერთხი
საჭიროა რკინის კვერთხი!
(ჭიათურა)

ჭიათურა წინ - წინ მიდის
ვით ქალაქის არის წესი;
მაგრამ მე მის სასადილოს
უნდა გამოუთქვა ლექსი,
კვების საქმე მოწყობილი,



ვეოსად ნახოთ უკეთესი.
სასადილო რამდენიც გსურთ
გაბსნილია აქ ყველგანა,
წვნიან კერძსა და მოითხოვთ.
შიგ დაცურავს ტარაკანა,
პურით ველარ გაგაძღებენ,
არც კოვზი აქვთ და არც დანა.
გამგე ამას როცა ხედავს,
არ იწუხებს თავსა დიდათ
ხან ნუნუა — მწვადს მიირთმევს
ხანაც დასეირნობს მშვიდად.

— :—

ჭიათურაში აგრეთვე
არსებობს კლუბი მუშათა,
წინედ მის მუშაობასა
უნდა ვსთქვათ არა უშავდა.
მაგრამ როს გამგედ დაწინშნეს
ბატონი ფერაფონი,
(ვისაც ზრდილობა არა აქვს
მართლაც არც ერთი ფიორი,
და ცხარობს, თითქოს ეჭამოს



პილპილი ანდა ნიორი),—
კლუბიც სულ ისე დაცარიელ
არაფრად ლარ ღირსია;
მასში ხშირად აქვს ადგილი
ზხუბსა და ბუშტი - ქრიესათ.

ფერაფონი სულ ხელობს,
საძაგელი ზნე სჭირსაო, —
როს დაერევა მუშებსა
დაუმტვრევს თავს და პირსაო!

— : —

ხრიკებით ბევრსა სჯობია
ეს ჩვენი პედაგოგია
(სოფ. ილემი, ზესტ. რაიონი)

კლიმენტი ხომასურიძე
ჭაბუკი პედაგოგია;
გაქნილობით და ხრიკებით
იგი აქ ბევრსა სჯობია.
შავსიელების დაცვაში
იმას არა ყავს ტოლია,
ასეთი მასწავლებელი
ჯერ სხვა არავინ გვყოლია!
ახალგაზრდაა — ჭაბუკი
და ცბიერია ძალიან,
თუ ასე სვლა მან განაგრძო
აქვს დიდი მომავალია!

— :—

სანდრო ატარებს დროებას,
ასრულებს მოვალეობას!
(ზესტაფონი)

„სოიუზ - მიასო“
ვის არ სმენია,
(ხორცით მკვებავი
იგი ჩვენია)
მისსა რწმუნებულს



აქ — ზესტაფონსა,
ყველანი იცნობს
ჩვენსა სანდროსა.
უყვარს ქეიფი,
ლხინი, ღრეობა,
ჭორწილ - ქელეხი
და სხვა „დღეობა“.
ერთხელ, ლხინს შემდეგ
ჩვენს ჭაბუკ სანდროს,
გზა აერია
ნაცადი სანდრო.
შინ მოდიოდა
ის მეტად მთვრალი,
ალაბ შესწევდა
ღონე და ძალი,
იქვე ყანაში
დაწვა, იძინა,
(ეგონა ნახა
თავისი ბინა),
ორი დღის შემდეგ
ნახეს ყანაში,
და მოიყვანეს
დაღლილი სახლში.
ასე ატარებს
სანდრო დროებას,
ასე ასრულებს
მოვალეობას.

—: —

მიაქვთ სახლში რაც არი,
ყველი, ბრინჯი, შაქარი!
(სოფ. ქვაციხე)

ჭუმბურიძე ბიქტორი
კვაჭის სახლიკაცია;
კოოპერატივი ჩვენი
თავის დუქნად აქცია.
მიმოდის არხეინად
და დროებას ატარებს,
დეფიციტურ საქონელს
ურიგებს ლამაზ ქალებს.
ეფროსინეს ტუფლს აძლევს,
სხვებს კი კაბას „ჩარლსტონსა“,
შავსიელებს ბრინჯს, შაქარს
და კულაკებს პალტოსა.
თავმჯდომარეც არ იკლებს



ნაირ - ნაირ საქონელს,
და თავის ცოლს მიართმევს
ტუფლებს, პუდრს და საპონებს.
ასე შეხმატკბილებით
მიაქვთ სახლში რაც არი—
ყველი, ერბო, ფართალი
პური, ბრინჯი, შაქარი,
წევრებს ეუბნებიან
ჯერ არ მიგვიღიაო
საქონელის გაჩენა
ჩვენ არ შეგვიძლიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეშის შესახებ

ძველად მხოლოდ შეშა წარმოადგენდა ერთად-ერთ სათბობ მასალას. მაგრამ მის შემდეგ, რაც ქვეყნად გაჩნდა ელექტრონი, ქვა-ნახშირი და სხვა მსგავსი ნივთიერებანი, შეშამ დაჰკარგა თავისი ღირსება და პატივისცემა.

ნეტარხსენებულ მუშკოოპსაც მიტომ ყავდა ასე აგდებული შეშა. ამიტომ იყო, რომ ის ავანსებს ორი-სამი წლით ადრე კრეფდა, ხოლო შეშის მომარაგებისათვის ნაკლებათ ზრუნავდა.

მაგრამ დავანებოთ თავი მუშკოოპს. განსვენებულზე ავის თქმა რა საკადრისია. გავიცნოთ სატყეო მრეწველობის ტრესტის აზრი, რომელსაც ამჟამად აბარია საქმე.

— ამხანაგებო, — განაცხადა ტრესტის თავმჯდომარემ, — დღის წესრიგში დგას ერთად-ერთი საკითხი, რომელიც შეეხება შეშას. ნება მიბოძეთ ჯერ გაგაცნოთ ჩემი აზრი ამ საკითხის შესახებ.

— ბრძანეთ, ბრძანეთ!— შესძახეს მას ერთხმად.

— ამხანაგებო, მეცნიერებისა და ტეხნიკის უკანასკნელი გამოკვლევით, შეშა არ წარმოადგენს ისეთ საწვავ მასალას, რომლის შეცვლა არ შეიძლებოდეს. ეს ერთი დებულება. მეორე, ამხანაგებო, ჩემის ღრმა რწმენით სითბო არც ისე საჭიროა ადამიანისათვის, როგორც ეს ზოგიერთებს ჰგონიათ, პირიქით, მედიცინის უკანასკნელი გამოკვლევით, სითფო ადუნებს ადამიანის ძარღვებს, აბრკოლებს სისხლის ნორმალურ მოძრაობას და საბოლოოდ ასნეულებს ორგანიზმს.

ასეთია, ამხანაგებო ჩემი აზრი შეშის შესახებ. ეხლა სიტყვა ეკუთვნის ჩემს მოადგილეს.

— ამხანაგებო, — დაიწყო მოადგილემ, — ფრიად ურყევია ის დებულებანი, რომელიც აქ წამოაყენა ჩემმა პატივცემულმა თავმჯდომარემ. მე მხოლოდ დაუმატებ შემდეგ მოსაზრებას: პირდაპირ ვსვამ საკითხს და გეკითხებით: შეშა უფრო სასარგებლოა ჩვენთვის თუ ტყე? აქ ორი აზრი შეუძლებელია. ტყე ჩვენთვის გაცილებით უფრო ძვირფასია, ვინემ შეშა.

ასეთია ამხანაგებო, დღეს ჩემი აზრი შეშის შესახებ, გარდა იმ ურყევ დებულებების, რომელიც აქ წამოაყენა ჩვენმა პატივცემულმა გამგემ (ტაში).

— დაწყნარდით, ამხანაგებო სიტყვა ეკუთვნის ტფილისის რკინის გზის ადმინისტრაციას. ბრძანეთ!

— ამხანაგებო, მე მთელი ჩემი არსებით კესალმები იმ მარგალიტ აზრს და დებულებას, რომელიც აქ წარმოსთქვეს ტრესტის გამგემ და მისმა მოადგილემ. ეს განტვირთავს ტფილისის სადგურს და საშუალებას მოგვცემს ჩვენ, ტფილისის სადგურის ადმინისტრაციას, სავსებით და მთლიანად შევასრულოთ შემოდგომა-ზამთრის გადაზიდვის გეგმა.

(აპლოდისმენტები)

ძველი.

ზეზა--„სულიკო"

ზამთრისთვის შეშას ვეძებდი
ვერ ვნახე დაკარგულიყო;
სატყეო ტრესტში ვიკითხე;
—აქ ხომ არ არის სულიკო?
კაბინეტს გამგე ვიპოვე
ობლად, რომ დარჩენილიყო;
მივეხმატკბილე ტკბილი ხმით:
— სად არის ჩვენი სულიკო?
ნიშნად პასუხის ჭაბუკმა
თავი ფეხამდე დახარა
და თავის გასამართლებლად
ესე ამბავი მახარა:
— წელს, რომ ზამთარი კვლავ მოვა
ამაში გეთანხმებიო;
ხოლო თუ შეშა ვერ მოგცეთ,
ჩვენზე ნუ შემოსწყრებიო.
მიზეზი არის რკინის გზა,
არ მოგვცა ჩვენ ვაგონია.
მოთხოვნილება ათასჯერ
კი გაუგზავნე მგონია.
გულგატეხილმა ამ სიტყვით
მივადექ სამმართველოსა.
ვისაც ვეძებდი ვიპოვე
ჩამჯდარი იყო კრესლოსა.
ჩემ განცხადებას ვაჟკაცმა
მოკრძალვით ხელი შეახო,
ჩაიკითხ-ჩაიბულბულა
და მითხრა: „დიახ-დიახო".
შეშა რომ გინდათ ზამთარში
მაგი მეც კარგად ვიციო,
სატყეო ტრესტში მოგცემენ,
გასწავლე, თუ არ იციო.
და თუ არა აქვს მას შეშა,
ვერ არის მოსაწონია;
რატომ არ მთხოვა მან დროზე
მიგვეცა ჩვენ ვაგონია?
ერთი მეორეს აბრალებს
და იმართლებენ თავსაო
და ჩვენ კი ზამთრის ყინვები
ზურგზე აგვაძრობს ტყავსაო.
ტყვილა გეძებდი, სულიკო,
ამ ჩვენს ქალაქსა შინაო.
თურმე კვლავ ტყეში გქონია
შენ ძველებურად ბინაო.

კირ. საფირჩხიელი.

გოდორი

ნ. ჟორს (ბორჯომი) მოგვყავს თქვენი ლექსის ნაწყვეტი. კერძოდ, მიმართვა ვინმე „ტიგრანა ხარაზისადმი".

ტიგრანჯან ქეიფ უნცეს,
ხარაზოჯან! ძველთა ძველო,
ხალხს ტყავს აძრობ, ფინაჩი ხარ,
გინდა ჯიბე გაისქელო.
უბედურო, დაგიწყია
თურმე ცოლის ქამრით ცემა
ისე მოგცხებთ „ნიანგში" რომ
აგერიოს ტვინის სქემა.

ტიგრანს ტვინის სქემა უკვე არევია, რაც იქიდან სჩანს, რომ ცოლის ქამრით ცემა დაუწყია.

მასვე: მეღორეთა კოლექტივის შესახებ იწერებით:

„ნიკოს საქმე კარგად მიყავს
„მეღორეთა კოლექტივში
საუცხოვო ღორები ყავს
თურმე იმერული ჯიშის

და ქვევით—

ჭამენ... არას აკეთებენ...

ახირებული ბრალდებაა „მოქალაქე" ღორების მიმართ: ღორებმა, და მერე ისიც იმერული ჯიშის ღორებმა, რა უნდა გააკეთოს? ლექსების წერას ხომ ვერ დაიწყებენ?..

კოდალას (სამტრედია) მუშკოოპის სასადილოს № 1 თანამშრომელ საშა არველაძის შესახებ იწერებით:

ნომერ პირველ სასადილოს
მოევლინა ერთი ქალი,
ყოყოჩობს და ამპარტავნობს,
„იკბინება" რაც აქვს ძალი.

გამგეს გარდა ყველას უბღვერს
„იკგიმება" რაც აქვს ძალი.
ყმაწვილებს თუ დაინახავს
იმათკენ აქვს ცალი თვალი.

მერე „ვისკენ მიაქვს თვალი" მუშკოოპის გამგეობას და სარევიზიო კომისიას?

აპოლონს (აქვე) თქვენი ლექსი „სიცივის აპოლოგია" ასე იწყება:

სექტემბერი დაორსულდა,
რიმ-დარიდან, რამდარი,
ოქტომბერი დალოგინდა,
შეეძინა ზამთარი.

ამ ზამთარში მე რა უყო
რიმდარიდან, რამდარი
პალტო არ მაქვს, სიცივეა.
გამაყინებს ზამთარი.

სხვამ იკითხოს, თუ არა თქვენ რა გიჭირ თუ თქვენი ლექსის მიხედვით ვიმსჯელებთ. ისეთი სიცხე გქონიათ, რომ ტრიუკებითაც რომ იარეთ ჭაინც სიცივეს ვერ იგრძნობთ.

-392
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფლად მიმაგრებულის მელანქოლია

ნახ. ქოქიაშვილის



— ფრინველებიც კი თბილ ადგილებისკენ მიფრინავენ... მე აქ რა გამაძლებინებს!

გაზ. „კომუნისტი“-ს გამომცემლობათა სტამბა, კამოს ქ. № 68 მთავლიტ № 1319

ს.ს.ს.რ.
ეროვნული განათ
კომისარიატ
საქართველ
ეროვნის პა
„ „ 19 „ „